ბორჯომი

15 დეკემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№51 (9261)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

უკვდავყოთ პატრიარქის ღვაწლი

საქართველოს პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, დაბადების 90 წლის იუბილესთან და აღსაყდრების 45 წლისთავთან დაკავშირებით, ილია მეორის შემოწირულობის სახელზე „შევწიროთ“ 13 ასურული მამის მშენებარე ეკლესიას, „გუმბათის ჯვარი“ (თბილისი, ბაგების ტერიტორია).

მოვუწოდებთ ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობებს, ორგანიზება გაუწიონ გვარის წარმომადგენლებმა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ და შეძლებისდაგვარად შეწირონ „გუმბათის ჯვრის“ მშენებლობას, მათთვის მისაღები თანხით.

რეკვიზიტია GE82TB7957436070100003 - სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი-კავშირი.

კომპოზიტორი ჯემალ ადამაშვილი - 599 281 942; შოთა ზედგინიძე - 577 571 257.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა.

დონორთა მხარდაჭერით

„ლეკვი ლომისა სწორია“ ანუ ქალები ავტობუსის საჭესთან...

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტომ“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით, პოლიტიკის მართვის კონსულტირების ჯგუფის (PMCG) ექსპერტების მხარდაჭერით ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების განვითარება: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროექტი განახორციელა, რომლის ოფიციალური დახურვის ცერემონიალი 5 დეკემბერს, სასტუმრო „ბორჯომი ქრაუნ პლაზა“-ში შედგა.

2021 წლის ივნისში დაიწყო და პოლიტიკის მართვისა და კონსულტირების (PMCG) ექსპერტები სააგენტოსთან ერთად 18 თვის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ. პროექტი მიზნად ისახავს ბაკურიანის განვითარების სააგენტოში გენდერულ თანასწორობას და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, ასევე ქალების დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

პროექტის განსახორციელებლად ბაკურიანის განვითარების სააგენტოს და ექსპერტების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ადამიანური რესურსების (გენდერის მიმართულებით) მართვის პოლიტიკა და გადამზადდნენ სააგენტოს თანამშრომლები პროექტის პრაქტიკაში განსახორციელებლად. შეიქმნა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმას, რომელიც ხელს შეუწყობს კორპორაციული კულტურის სრულყოფას; ასევე მუშავდება 2 წლიანი სამოქმედო გეგმა შრომის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე იმყოფებოდა პროექტის გუნდი: პროექტის დირექტორი - **ზვიად ხარებავა,** გუნდის ხელმძღვანელი HR ექსპერტი - **ირმა მიქაძე,** გუნდის ექსპერტი - **მორეტა ბობოხიძე,** შრომის უსაფრთხიების ექსპერტი - **ქეთევან ჭუბაბრია,** კომუნიკაციის ექსპერტი - **თამარ კვარაცხელია,** ტრანსპორის სექტორის ექსპერტი - **თამარ მაჭავარიანი,** პროექტის მენეჯერი - **სალომე სოლომნიშვილი, მარიამ ქობალია** (PMCG), პროექტის ოფიცერი - **მარიამ სიხარულიძე,** კავკასიის რეგიონალური წარმომადგენლების დირექტორი - **კატრინა ბიორლინ ჰანსენი** (EBRD) სსიპ „ბაკურიანის სააგენტოს“ თანამშრომლები, ბორჯომის მუნიციპალიტეტის, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ქალბატონი **მარინა გაჩეჩილაძე** და ცხადია გენდერული კუთხით მიწვეული ის ქალბატონები, რომლებიც ამ პროექტის ძირითადი ამინდის შემქმნელები არიან.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ახალდაბაში, ზანავსა და რველში სკვერების კეთილმოწყობა დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, დაბა ახალდაბის სკვერში მოეწყო საფეხმავლო ბილიკები და მოპირკეთდება ბაზალტის ქვით. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად 40 000 ლარი გამოყო.

სოფელ ზანავში არსებულ სკვერში მოეწყო საბავშვო ატრაქციონები, დარჩენილი მონაკვეთი შემოიღობა. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად 24000 ლარი გამოიყო.

ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფელ რველში ბეტონის გზა და საბავშვო ატრაქციონი მოეწყო. პროექტის განსახორციელებლად 20000 ლარი გამოიყო.

სოფლებში საკირესა და დვირში არმირებული ბეტონის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია დასრულდა, ხოლო სოფელ ჭობისხევში სამუშაოები მიმდინარეობს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის **გიორგი ტაბატაძის** თქმით, საკირეში ბეტონის კედელი 3 მონაკვეთად 100 გრძივი მეტრზე აშენდება. დვირში 21 გრძივ მეტრზე, ხოლო ჭობისხევში საყრდენი კედლის რეაბილიტაცია 35 გრძივ მეტრზე მიმდინარეობს.

პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით განხორციელდა.

გენდერული თანასწორობის საბჭო მოქმედებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, ქალთა მიმართ ძალადობის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში სპორტული აქტივობა მოეწყო, რომელშიც დღის ცენტრ „თებეს“ ბენეფიციარები და სასპორტო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

მხიარული სტარტების ყველა მონაწილეს სიგელები, ხოლო გამარჯვებულ გუნდს თასი გადაეცა.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერიის, გენდერის საბჭოსა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სალონური საუბრები თემაზე: „ქალის სახე მსოფლიო ლიტერატურასა და ისტორიაში“, გაიმართა 5 დეკემბერს.

რეკრეაციულ პარკში გამწვანების აქცია მოეწყო

ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის **ქეთევან ლონდარიძის** ორგანიზებით, ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში გამწვანების აქცია მოეწყო. აქციის ფარგლებში, 30 ძირი ფიჭვის ხე დაირგო.

გამწვანების აქციაში ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლეთან ერთად მონაწილეობა მიიღეს, ბაკურიანის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით თედიაშვილმა და სკოლის მოსწავლეებმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, წაიკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“

წლის ბოლო თვე - დეკემბერი დადგა. ეს თვე გადამწყვეტია ბეჭდვური მედიისათვის. ამ თვეში ეყრება საფუძველი მომავალი წლის წარმატებით დაწყებას, ანუ ტრადიციულ გაზეთ „ბორჯომის“ ხელმოწერა-გავრცელება- გადარჩენას.

ბუნებრივია, გაზეთის ხელმომწერთა სიმრავლე გადამწყვეტია. მთავარია საუკუნეს მიტანებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, კულტურულმა, საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთმა „ბორჯომმა“ სიცოცხლე გააგრძელოს.

ამიტომ მოგმართავთ ჩვენი ხეობის წიგნიერ მაცხოვრებლებს ვისაც ჯერ კიდევ გიყვართ კითხვა, შეგახსენებთ, გამოიწერეთ სანდო, სამართლიანი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი „ბორჯომი“. იგი ერთადერთია მთელ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდის და ვრცელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყდნება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ წერილები, თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში

ჩვენი მისამართია: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65: 599 227 929.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია

„ლეკვი ლომისა სწორია“ ანუ ქალები ავტობუსის საჭესთან...

(გაგრძელება)

კომუნიკაციების ექსპერტი თამარ კვარაცხელია მიესალმა დარბაზში მყოფთ და სიტყვა სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელს ეკატერინე ორჯონიკიძეს გადასცა: - მადლიერი ვარ, რომ პროექტი შედგა, თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ ჩემთვის. ეს მნიშვნელოვანი პროექტი იყო ისეთი ორგანიზაციისთვის, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა. 2022 წლის 16 იანვარს მოვედი სააგენტოში, დამხვდა მხოლოდ ორი მამაკაცი, უნდა დაგვეწყო ორგანიზაციის მართვა. გავიარეთ მთელი გზა და დღეს 78 თანამშრომლისაგან შემდგარი გუნდი ვართ პოლიტიკურად და დონორების მიერ მხარდაჭერილნი, რაც ნიშანდობლივია ბაკურიანისათვის და აქ ჩამოსულთათვის. „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“ მართლაც სენსაციური პროექტია. ერთი პერიოდი მეც მქონდა ორგანიზაცია, რომელიც ქალთა გაძლიერებას ემსახურებოდა“ და მან ხაზი გაუსვა ქალთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისას.

- ჩემი სააგენტო, ესაა ოჯახი, ვფიქრობ მის გაძლიერებაზე, თითოეულ თანამშრომლის პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, სისტემატიურად ვაცხადებდით კონკურს სხვადასხვა ვაკანსიებზე. თქვენი პროექტი ძალზედ გვეხმარებოდა. დონორების, თქვენი ჩართულობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მისი განხორციელება. ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, მხოლოდ თქვენი დახმარებით შევძელით. ეკა ორჯონიკიძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დონორებს და იქვე დაამატა: - თქვენი მეშვეობით დავამსხვრიეთ სტერეოტიპი, შევძელით ქალების გადამზადება „ქალი მძღოლები“. ამ მხრივ რეგიონში პირველები ვართ, ქალებს ყველაფერი შეგვიძლია, აცხადებს სააგენტოს ხელმძღვანელი და დარბაზში 15 ქალი წამოდგა, რომლებიც ჩართულნი არიან პროქტი „ქალი მძღოლები“.

პროექტის ხელშეწყობით 15 ქალს მიეცა შესაძლებლობა დაუფლებოდნენ ავტობუსის მძღოლის (D კატეგორია) პროფესიას, რაც მისცემს დასაქმების შესაძლებლობას შესაბამის სერვისებში.

კატრინა ბიორლინ პანსენი (EBRD): ძვირფასო სტუმრებო, სასიამოვნოა თქვენი ხილვა, ეს ჩემთვის დიდი პატივია, რომ შევძელით ამ პროექტის განხორციელება. ჯერ კიდევ 2020 წელს სპეციალური ტექნიკით დავეხმარეთ ბაკურიანს, რათა თავისუფლად შეძლებოდა ქალებს პირველი ნაბიჯების გადადგმა ამ პროექტში. 2016 წლიდან ვცდილობთ გენდერული კუთხით ინფრასტრუქტურის დანერგვას, ჯერ თბილისში და ბათუმში იყო, ახლა ბაკურიანშია. ეს თემა, ანუ ავტობუსების მძღოლობა ძირითადად მამაკაცებთან ასოცირდება, ჩვენი სურვილი იყო და არის, ჩავრთოთ ქალები, დავეხმაროთ მათ ბარიერების დაძლევაში. ამ მხრივ შევცვალეთ სტერეოტიპები. ქალებს ხელი შევუწყვეთ გადამზადებულიყვნენ და აეღოთ მართვის მოწმობები. მიხარია, რომ ბაკურიანის „განვითარების სააგენტოში“ გენდერული თანასწორობის მხრივ ხდება დაინტერესება. ამ ჭრილში პროექტს სხვა ქალაქებშიც განვიხილავთ“, დასძინა მან.

ხაზგასმით ითქვა, რომ პროექტის ფარგლებში თავიდანვე შემუშავებული, გაწერილი იყო მიზნები და ამოცანები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის აქტივობები, (რომელთაც თავი შესანიშნავად გაართვა PMCG - გუნდმა), მოიზიდვა ქალი მძღოლები...

„ბაკურიანის განვითარების სააგენტო“ პირველი სიპია, რომელიც ქალთა პრინციპების ქსელის წევრი გახდა და შეუერთდა WEP-ის ძალისხმევას გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ 15-ვე კანდიდატმა ქალმა ავტობუსების მძღოლის პოზიციაზე გადამზადება გაიარა და ზოგი ახლა გადის გადამზადებას გორის ავტოსკოლა „რბოლა“-ში, რომლის ხელმძღვანელი და თეორიული ნაწილის მასწავლებელი თავად ქალია - **სოფიო გუდაძე.**

ბორჯომელი **ნატალი მესხი**, 30 წლის: - საჭეს წლებია ვფლობ, როცა ამ პროექტის შესახებ გავიგე, შანსი არ გავუშვი ხელიდან დავუფლებოდი ახალ პროფესიას. გავიარე გადამზადება და D კატეგორიის მართვის მოწმობა ავიღე.

სოფო გუდაძე, ავტოსკოლა „რბოლა“ ხელძღვანელი: - ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, განსაკუთრებული პროექტი და მიხარია, რომ ამ პროექტის ნაწილი გავხდი.

ღონისძიების მსვლელობისას ეკრანზე მოკლე ვიდეო რგოლი გამოჩნდა, რომელიც ასახავდა პროექტის მიმდინარეობის მსვლელობის ეპიზოდებს, მათ შორის როგორც სხვადასხვა აქტივობების, ასევე, თუ როგორ უხამებენ თეორიულ ცოდნას ქალი ავტობუსის მძღოლები მწვანე ავტობუსების საჭესთან. ერთ-ერთ რგოლში ქალბატონი ყვება, რომ მისი ეს ნაბიჯი აუცილებლობით იყო გამოწვეული. ბავშვი ავად გაუხდა, მანქანა ეზოში იდგა, მეუღლე არ იყო სახლში, ბავშვი ექიმთან იყო წასაყვანი, დედამ კი მანქანის მართვა არ იცოდა „თავს ვუთხარი, შენ უნდა ისწავლო ავტომობილის მართვა“ - ეს იყო მიზეზი.

- ჯერ კიდევ საუკენეების უკან ქართველი სახელმწიფოს სათავეში ქალი მეფე ედგა... ასე დაიწყო თავისი გამოსვლა რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **მარინა გაჩეჩილაძემ,** რომელმაც მოიწონა და დადებითად შეაფასა ეს პროექტი, დონორების მიმართ კი მადლიერება გამოხატა.

პროექტის დირექტორამა **ზვიად ხარებავამ** თავისი გამოსვლა ევროპის განვთარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მადლიერების გამოხატვით დაიწყო, რომელმაც მისცა საშუალება ქალები და მამაკაცები ერთნაირად დასაქმდნენ ერთნაირ პოზიციაზე და ერთნაირად იშრომონ რეგიონში. მან მადლობა გადაუხადა „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელს ეკატერინე ორჯონიკიძეს პროექტის განხორციელების პერიოდში დიდი მხარდაჭერისათვის.

პროექტის მიმოხილვასა და აწ უკვე განხორციელებულ მიზნებზე ისაუბრა ექსპერტმა და გუნდის ხელმძღვანელმა (HR) **ირმა მიქაძემ.**

„პროექტი მართლაც შესანიშნავი იყო, სააგენტოს დიდი დახმარება გაგვიწია სრულფასოვან ჩამოყალიბებაში თითოეულმა ორგანიზაციამ, რომლებიც ჩართულნი იყავით ამ პროექტში. - მადლობა თქვენ, მადლობა ყველას. მიხარია, რომ პროექტი შედგა და მისი ნაწილი მეც გახლავართ“, აღნიშნა **მარიამ ლომიძემ.**

EBRD-მა საქართველოში დღემდე 5 მილიარდ ევროზე მეტი ინვესტიცია განახორციელა 277 პროექტის ფარგლებში. იგი ხელს უწყობს საქართველოში ეკონომიკურ ჩართულობას. მათ შორის, ქალების, ახალგაზრდების და სხვა განსაკუთრებული მხარდაჭერის საჭიროების მქონე ჯგუფების უკეთეს წვდომას დასაქმებაზე, ფინანსებზე და მუნიციპალურ სერვისებზე.

ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა დიდი შოთა რუსთაველის საუკუნეების უკან პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ციტატა - „ლეკვი ლომისა სწორია“... და სათაურშიც სწორედ ეს გამოვიტანე.

პროექტი „განახლებული რეგიონები“

ქვეღი ღობემების ახალი სიცოცხლე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ქვეყანაში ბევრი ახალი პროგრამა და პროექტი ხორციელდება. მათ შორისაა პროგრამა „განახლებული რეგიონები“, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. სწორედ პროექტის „განახლებული რეგიონები“-ის ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდი (MGE) სსიპ - „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ რეკომენდაციითა და ზედამხვედელობით კურორტის ერთიანი, ლამაზი იერსახის მისაღებად არსებული ღობეების რეაბილიტაციას და მოწყობას გულისხმობს, რასაც თვით გენგეგმის პროექტი ითვალისწინებს. პროექტი ასევე ითვალისწინებს ახალ, მოწესრიგებულ ჯიხურებს, რომლებიც კურორტზე ამ დღეებში დაიდება.

პროექტის ფარგლებში თითქმის ორი თვეა ბაკურიანის შემოსასვლელიდან მოძველებული ღობეები ახალ, თანამედროვე იერსახეს იღებენ. მწვანე, დეკორატიული ბადით შემოიღობა ბოტანიკური ბაღი... მთლიანად (სადაც მოითხოვს) შეიცვალა ღობეების ფასადები სამი სხვადასხვა ელემენტით ბორჯომის, თავისუფლების, აღამაშენებლის ქუჩების და ე.წ. წრიულის გადასახვევისკენ.

უნდა ითქვას, რომ კარგი, თბილი შემოდგომა გვქონდა და სწორედ ამან შეუწყო ხელი სამუშაო პროცესს. ახლა კი, აცივდა, ჩამოთოვა და ყინვებიც დაიწყო, თუმცა სამუშაოები არ შეჩერებულა... პროექტის ფარგლებში დაბის ცენტრში არსებულმა ჯიხურებმაც შეიცვალეს იერსახე.

ლალი ნიკოლაევა: (ჟურნალისტი, ა/ო „ადეკვატი“-ს დამფუძნებელი, გაზეთი „To The Point“ (აშშ) კორესპონდენტი, English Club №116 მენეჯერი):

დღეს ბაკურიანი დიდ ტურისტულ ცენტრად განიხილება, ხოლო სპორტის განვითარების თვალსაზრისით ის ძალიან ჩამორჩა მსოფლიო ტენდენციებს. ჩემი მეუღლე ტრამპლინიდან მოხტუნავე სპორტსმენი იყო და ამ მხრივ მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია მშობლიური ბაკურიანის როლის დაქვეითება. 2017 წელს მისი კონსულტაციების საფუძველზე ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დოკუმენტური ფილმი გადაიდო „ბაკურიანი - ოლიმპიური ატლანტიდა“. ფილმის მთავარი მესიჯი სახელწოდებიდანაც გასაგებია, მასში გაჟღერებულია გულწრფელი სინანული იმისა, რომ ბაკურიანის უზარმაზარი სპორტული პოტენციალი გამოუყენებელია. დავიწყოთ იქედან, რომ ბაკურიანის თოვლს გააჩნია უნიკალური სიმშრალე, რომელიც თხილამურებით სრიალის დროს ამ ადგილს შეუდარებელს ხდის და უპირატესობას ანიჭებს. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ბაკურიანის თოვლის ეს თვისება ცნობილი და აღიარებული იყო უძლიერესი საბჭოთა ექსპერტების მიერ, ამის გამო სპორტული თვალსაზრისით ბაკურიანი ათვისებული და პოპულარული ადგილი გახლდათ იმ პერიოდში. აქ ჩსისტემატიურად ვარჯიშობდნენ სპორტის ვარსკვლავები, რისთვისაც შექმნილი იყო სათანადო ინფრასტრუქტურა, რომელიც სამწუხაროდ განადგურდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ამ ფონზე, უდიდესი სიხარულით შევხვდით ინფორმაციას, რომ 2023 წელს ბაკურიანში სნოუბორდსა და თხილამურებით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, ხოლო 2025 წელს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარება იგეგმება. მთავრობა აქტიურად ემზადება, ზრუნავს ბაკურიანის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, რადგან ეს ქვეყნის იმიჯს წაადგება. ჩვენი



სახლი პირდაპირ ბაკურიანის ცენტრალურ გზაზე დგას (ბორჯომის ქუჩაზე) და წინა თვეს ჩვენც შეგვიცვალეს ღობე. ძალიან მომეწონა ახალი ღობის ორიგინალური დიზაინი. ჩვენი მხრიდან, სახლის გარე ფასადის მოპირკეთება გვსურს, იმისთვის, რომ სახლი ლამაზად გამოიყურებოდეს ახალი ღობის ფონზე. ასევე მინდა დავამატო, რომ ჩვენი სახლი ბორჯომის ქუჩისა და კობა წაქაძის ქუჩის გზაჯვარედინზეა და ზამთრის პერიოდში სპეციფიკური პრობლემა გვაქვს: კობა წაქაძის ქუჩიდან (რომელიც შედარებით აღმართზეა განლაგებული) მომავალი მანქანები ყინვის პერიოდში ადვილად ეჯახებიან ჩვენს ღობეს. ვფიქრობ, რომ ქუჩის მხრიდან აუცილებელია ამ პრობლემის მოგვარება. ამ ტერიტორიაზე უკვე არა მხოლოდ ახალი ღობეა დასაცავი, არამედ ფეხმავალიც.

გულო ჩუბკო, ამბულატორიის ექთანი: - ჩემი ეზოს ფასადი გარკვეულ ტერიტორიას მოიცავს ე.წ. 25-ნების გადასახვევთან, ზუსტად ცენტრალური ქუჩის კუთხეს ქმნის. მისი განახლება საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. მომწონს და მიხარია, რომ გაალამაზეს.

მარინა და ზეინაბ მიქაბერიძეები: - ჩვენ, ძველი, კომუნისტებისდროინდელი ფიცრის ღობეები გვქონდა, ახლა მშვენიერი, ახალი სახე მიიღო ჩვენმა კარმიდამომ. ცხადია, მოგვწონს და კმაყოფილნიც ვართ. მივესალმებით ბაკურიანის სააგენტოს ყოველ ნაბიჯს იმისათვის, რომ ბაკურიანშიც გადაიდგა კეთილი ნაბიჯები, რასაც ხალხი კარგახანია ელოდა.

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელის **ეკატერინე ორჯონიკიძის** თქმით, პროექტი „განახლებული რეგიონები“ გაზაფხულზე განახლდება.

P.S. შეგახსენებთ, რომ ზოგიერთი ღობე თითქმის 40 წელს ითვლის, რადგან მაშინდელი მთავრობა, ერთიან ფიცრის ღობეებს დიდი შეჯიბრებების პერიოდში აკეთებდა. წლები გავიდა, ზოგმა მეპატრონემ თვითონ შეცვალა და გაალამაზა ეზო-კარმიდამოს ფასადები, ზოგს კი ამის საშუალება არ ჰქონდა. დღეს, „განახლებული პროგრამის“ ფარგლებში ნამდვილად ლამაზი ფასადები მივიღეთ. თუმცა ერთსაც ვიტყოდით, რომ ფასადების (ცხადია, ზოგიერთის) შიგნით ბევრს მოუწესრიგებელი ეზოები აქვს, კარგი იქნება თუ მოსახლეობა შიდა პერიმეტრებს დროულად მოაწესრიგებს.

გვერდის მასალების ავტორია სოფიკო ხეთაგაშვილი

ახალგაზრდა მსახიობი

ვეცდები მაყურებელს თავი არ დავავიწყო

17 ნოემბერს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში წაღვრის კულტურის სახლთან არსებულმა თეატრ-სტუდია „ვოდევილმა“ რეჟისორ გიორგი ლეკვინაძის ხელმძღვანელობით, ნოდარ დუმბაძის გენიალური ნაწარმოების „ბოშების“ მიხედვით სპექტაკლი წარმოადგინა. სპექტაკლის პრემიერა წაღვრის კულტურის სახლში 11 აგვისტოს შედგა, ხოლო 17 ნოემბერს მეორე ჩვენება გახლდათ. გადავსებული დარბაზი, სხვადასხვა ასაკის მაყურებლის ოვაციები და შეძახილები ახლდა თითოეული მსახიობის მოქმედებას, თუ მუსიკალურ ნომერს. სტუდია ახალგაზრდა თაობისგანაა დაკომპლექტებული და სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ როგორც წაღვრის, ასევე ბორჯომში არსებული სტუდიის წევრებიც. არა მარტო ჩემი, არამედ მაყურებელთა უდიდესი მოწონება ერთმა, თითქმის ყველასაგან გამორჩეულმა პერსონაჟმა მიიქცია. ეს პერსონაჟი კი გახლდათ გურული სოფლის „თაგკაცი“ ლევერსი ბერეჟიანი, რომელმაც გურული კილოთი და გადმოცემის საოცარი მანერით დაიპყრო მაყურებელთა გულები. აღნიშნული პერსონაჟის როლის შემსრულებელი კი ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი ზურა ნოზაძე გახლავთ. ამ საოცრად ნიჭიერ ბიჭს ჩვენი გაზეთის მკითხველებიც უნდა იცნობდეთ:

- თეატრის მიმართ ინტერესი როდის გაჩნდა?

- სასახლიდან სფეროს მიმართ ინტერესი ზოგადად ბავშვობიდან მქონდა, რადგანაც ფილმების ხშირი მაყურებელი გახლდით და ხშირად გამჩენია სურვილი, რომ ჩემი ფავორიტი, საყვარელი მსახიობის ადგილზე (როლში) მე ვყოფილიყავი და გამეკეთებინა ის, რასაც ის პერსონაჟი აკეთებდა.

- რაც შეეხება „ვოდევილს“, სტუდიაში როგორ მოხვედი?

- მეთორმეტე კლასში ვიყავი, როდესაც ნათესავმა მითხრა, რომ ჩვენი ნაცნობი ხსნდა თეატრალურ სტუდიას და გადაწყვიტე, რომ ბედი მეცადა და რეპეტიციის მეორე დღეს მივედი. მცირე გასაუბრების შემდეგ სტუდიის წევრებს შევუერთდი.

- პირველი როლი რომელი იყო?

- პირველი როლი სოსია იყო, ნოდარ დუმბაძის საგტორო მოთხრობიდან **„ჩე ჭეფდგ მზეს“**, ასევე კუკარჩას როლი, რომლის დებიუტიც ასევე წაღვრის კულტურის სახლის სცენაზე შედგა.

- საყვარელი მსახიობი და ფილმი რომელია?

- ჩემთვის საყვარელი ფილმი „ჯარი პოტერია“ და მასში მონაწილე მსახიობი დენელ რედკლიფი.

- ხასიათის რა თვისებებით გავხარ აღნიშნულ მსახიობს?

- ზოგი გარეგნულადაც კი მასგავსებს, თუმცა მე პირადად რაც ძალიან მოწონს ამ პერსონაჟში არის, მისი მიზანდასახულობა, ასევე ერთგულება მეგობრების, საყვარელი ადამიანების მიმართ.

- რაც შეეხება ლევერსი ბერეჟიანის როლს, რომელმაც მაყურებელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა და რის გამოც გადაწყვიტე, რომ მკითხველებმაც უნდა გაგიცნონ. როგორ მიიღე აღნიშნული როლი და ახალგაზრდა ადამიანისათვის რამდენად მარტივი იყო „ქოფლის თაგკაცის“ როლის შესრულება?

- აღნიშნული როლის მრგვალბაზე საკმაოდ დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რადგანაც მსახიობისთვისაც არსებობს გარკვეული წინაღობა, ბარიერი, რის გადალახვაც მს შეუძლია, ან არ შეუძლია. ამიტომაც მადლობა მინდა გადავუხადო ბორჯომის თეატრის მსახიობს, ბაქარ ლომიძეს, რომელიც ჩემი როლის დამუშავებაში მეხმარებოდა, რათა ჩემს მიერ ნათამაშები პერსონაჟი უფრო ეფექტური და სასიამოვნო სანახავი ყოფილიყო მაყურებლისათვის. რა თქმა უნდა, ეს ჩემი, როგორც მსახიობის მინდობებთაც მოხდა, რის გარეშეც ვფიქრობ, არაფერი გამოვიდოდა, თუმცა როგორც აღვნიშნე, სწორედ ბაქარს მიუძღვის უდიდესი წვლილი „ლევერსი ბერეჟიანად“ ჩემს გარდასახვაში.

- რაც შეეხება რეჟისორს და თეატრალურ დასს, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ერთმანეთთან რამდენად კომფორტულია მათ გვერდით მუშაობა?

- სტუდიას ჰყავს უნიჭიერესი, პერსპექტიული საკუთარი საქმის ერთგული და საქმეზე ორიენტირებული რეჟისორი, რომელიც სტუდიის გახსნის დღიდან ცდილობს კომფორტული, თავისუფალი და რაც მთავარია, ძალიან თბილი, ძალო მეგობრული და შეიძლება ითქვას ოჯახური ატმოსფერო შექმნას ერთად სტუდიას ჰყავს უნიჭიერესი და საოცრად მონდომებული ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც უდიდესი მონდომებით ცდილობენ საკუთარი თავის დახვწესა და მსახიობად ჩამოყალიბებას.

- თუ გაქვს საოცნებო როლი და რომელია ის?

- ჩემი საოცნებო როლი „ჯარი პოტერში“ მთავარი გმირის, ჰარის მგავი მგის (ჯადოქრის) თამაშია.

- თეატრის გარდა, რა არის შენი ინტერესის სფერო?

- პანდემის შემდეგ ბლოგერობა დავიწყე, კოდად პანდემის შესახებ ცნობილ პოსტებს, რომელსაც ახლაც ვაგრძელებ.

- სამომავლო გეგმები გაგვიზიარე–

- პროფესიული თვალსაზრისთ ვაპირებ კომპიუტერული და მობილური პროგრამირება შევისწავლო, მაგრამ ამავდროულად მაქსიმალურად ვცდები ისსაც, რომ თეატრალური საქმიანობა ისევ გავაგრძელო და სცენა არ მივტოვო, რათა ჩემ საყვარელ მაყურებელს თავი არ დავაკლო და და რაც მთავარია, ისევ და ისევ დავტოვო ის სიამოვნების შეგრძნების საშუალება, რასაც კმაყოფილ მაყურებლის ოვაციები იწვევს ჩემში.

ქაუბრა **ნანა ფილიპი**

პროექტი – „ბორჯომი – საქართველოს მშვენება“

მიმდინარე წლის 21 ოქტომბერი ნამდვილად დაუვიწყარი იქნება ბორჯომის №1 საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის (კლასის ხელმძღვანელი **ლია გულიკაშვილი**), რომლებმაც ზაფხულის არდადეგების პერიოდში თბილისის ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების დახმარებით განახორციელეს შესანშნავი შემეცნებითი პროექტი სახელწოდებით „ბორჯომი-საქართველოს მშვენება“. ზაფხულის პერიოდში ხალისით შემოიარეს მშობლიური ხეობის ისტორიული ძეგლები, ქალაქის შემოგარენში არსებული ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები, რომანოვების ყოფილი სასახლე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იყვნენ ტბიმოთესუბნის, ნეძვის, საკირის, ტაძრისის, სადგერის, სერაფიმ საროველის, ბერისსაყდრების, ფოთოლეთის, კვირკეწმინდის, ქვაბისხევის ეკლესია-მონასტრებში, დაათვალიერეს და აღწერეს ძეგლების დღევანდელი მდგომარეობა. ექსპედიციის მონაწილეებმა გადაიღეს ფილმი, მომამზადეს ისტორიული ძეგლების ბუკლეტები და 21 ოქტომბერს რეფერატებით და მშობლიურ სკოლაში მრავალრიცხოვანი სტუმრების წინაშე შესანშნავად ორგანიზებული კონფერენციით წარსდგნენ - გვითხრა კლასის ხელმძღვანელმა **ლია გულიკაშვილმა**.

- „ქართველისადმი გრძნობა-პატივი - ყველა ქართველის ვალია“; ვაჟასი არ იყოს, წინაპრებისა და სამშობლო-ქვეყნის სიყვარულს, მისთვის თავდადებასა და ზრუნვას ბავშვობიდანვე უნდა ჩავჩიჩინებდეთ ჩვენს აღსაზრდელებს. თამამად შემიძლია გითხრათ, ეს პროექტი მოსწავლეებისათვის ინსპირაციის წყაროდ იქცა. ათასი ფიქრი და იდეა უტივტივდებოდათ თავში, ამიტომ მივესალმები მსგავს პროექტებს, რომელიც ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით განვახორციელეთ, მართალია, ის ფინანსები, რაც გამოგვიყვეს, ზღვაში წვეთი აღმოჩნდა, მაგრამ კეთილი და გულისხმიერი ადამიანების დახმარებითა და ძალისხმევით პროექტი წარმატებულია, მადლობა მათ, მოსწავლეების მშობლებს: **თამარ ტალახაძეს, დავით კიკნაძესა და გურამ კამკამიძეს,** მუნიციპალიტეტის მერიის მონიტორინგისა და ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელს **გიორგი კობრავას,** ახალდაბის მაჟორიტარ დეპუტატს - **ზურაბ ბლიაძეს,** ჩვენს დირექტორს - **ვალენტინა ვეინჯოლავას,** რომელსაც ლომის წილი უდევს ამ პროექტის გამარჯვებაში, ბოლოს კი ჩემს კოლეგასა და მეგობარს **მზია კობრავას.** განსაკუთრებული მეგზურობისთვის მადლობა სასპორტო სკოლის სასწავლო ნაწილს **ლია ჩადუნელს** და ჩემს ერთგულ მოსწავლეებს: **საბა დისამიძეს, საბა ტაბატაძეს, ქეთი ბითაძეს, ირმაკო კიკნაძეს, თიკო კიკნაძეს, ლიკა კამკამიძეს, მარი ცხვედიანს, მარი ხორავას, მარი ბირკაძეს, მარი კაპანაძეს,**



ლუკა ფუსაშვილს, ლუკა თაბუნიძეს, დეა დევიძეს, ეკატერინე ლაზარეს და სხვებს.

ჯეოვანი მიზაკი - პროექტი „ბორჯომი-საქართველოს მშვენება“ მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა. ესაა პროექტი, რომელმაც მოსწავლეებს აუმაღლა პატრიოტული სულისკვეთება, ვინაიდან საშუალება მოგვცა კიდევ ერთხელ შეგვეგრძნო და გაგვანალიზებინა ჩვენი პატარა კუთხის, ბორჯომის სიდიადე. პროექტმა დაგვანახა ის თუ რამდენად აუცილებელია მოზარდი იცნობდეს საკუთარი კუთხის, ქვეყნის, კულტურულ მემკვიდრეობასა და იცავდეს მას. ამასთანავე გამოვიმუშავე უნარ-ჩვევები რომლებიც სამომავლოდ ძალიან დამეხმარება.

ირმა კიკნაძე - პროექტის წარმართვასა და ყველა იმ დაბრკოლების გადალახვაში, რომლებსაც პროექტის მიმდინარეობისას წავაწყდით, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პროექტის ხელმძღვანელებს, ჩვენს მასწავლებლებს: ლია გულიკაშვილსა და მზია კობრავას, რომელთა წინამძღოლობის, მხარდაჭერისა და მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით ჩვენს გრანდიოზულ პროექტს საბოლოოდ ხორცი შეესხა, რისთვისაც ჩემი გულწრფელი და უღრმესი მადლობა მათ.

პროექტის დასკვნითი ნაწილი, კონფერენცია, იყო სწორედ ის გრანდიოზული ფინალი, სადაც ყველა მონაწილემ, უძვირფასეს დამსწრე საზოგადოებას, რომელთა რიგებშიც, ჩვენდა სამწუხაროდ, პროექტის იდეის ავტორთა წარმომადგენლები არ იმყოფებოდნენ, გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, მიღებული ცოდნა, სურვილები და სამომავლო გეგმები!

თიკო კიკნაძე - ეს პროექტი საინტერესო ზაფხულის დასაწყისი აღმოჩნდა, ჩემთვის და ჩემი კლასელებისათვის. არდადეგების პერიოდში აქტიურად გვიწევდა ლაშქრობების დაგეგმა, თუმცა ამ დღეებს სახალისოსა და საინტერესოს უფრო ვუწოდებდი ვიდრე დამღლელს. მიღებულ გამოცდილებას დარწმუნებული ვარ, მომავალშიც არაერთხელ გამოვიყენებ. ამ პროექტმა, ჯგუფურად და საკუთარ თავზე მუშაობა მასწავლა. რაც მთავარია, შრომა ყოველთვის გამოიღებს შედეგს. ამისათვის კი დიდად მადლობელი ვარ, როგორც ჩვენი პროექტის ხელმძღვანელების, ასევე ჩემი კლასელების, რომლებმაც სამუშაო პროცესი ერთიორად უფრო საინტერესო და სახალისო გახადეს.

მეტად სასიამოვნოა პრეზელსკოლელთა გარეგა და მშობლიური კუთხის ისტორიული მემკვიდრეობისადმი მზრუნველი დამოკიდებულება. ასეთი მასშტაბური და შინაარსიანი ღონისძიება ნამდვილად დაუვიწყარია, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე კონფერენციაში მონაწილე დამსწრე საზოგადოებისათვის.

**კონფერენციის მონაწილეების შრომა ობიექტურად შეაფასეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა [illegible] [illegible] [illegible]

ვულოცავთ!

ჩვენს ერთგულ, უღალატო ძმას და მეგობარს, სიკეთით, გულისხმიერებით და კაცურ-კაცობით გამორჩეულ ბონდო ჩადუნელს ვულოცავთ დაბადების დღეს - 17 დეკემბერს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ღვთის წყალობას საყვარელ ოჯახთან ერთად. ბატონ ბონდოს განვლილი ცხოვრებისეული გზა არის პატიოსანი შრომის და მოვალეობის პირნათლად შესრულების თვალსაჩინო მაგალითი. იყო უბნის ინსპექტორი, იღვაწა დაცვის პოლიციაშიც და ყველგან კეთილსინდისიერი შრომით გამოირჩეოდა, ამიტომაც უყვარდათ და დღესაც აფასებენ, როგორც ახალდაბაში ისე ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

პატივისცემით მეგობრები: თამაზ ხაჩიძე, თემურ ხუხუნაიშვილი,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ნარინჯისფერი კვირეული დასრულდა

საკრებულოსთან არსებულმა გენდერული საბჭოს ინიციატივით თექვსმეტი დღის განმავლობაში არაერთი საინტერესო, შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა. ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დარბაზში ახალგაზრდების მონაწილეობით კვირეულის ფარგლებში განხორციელებულ სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით ღონისძიებებს კიდევ ერთხელ მივადევნეთ თვალი. გენდერული საბჭოს წევრებმა და ადგილობრივმა ხელისუფლების პირველმა პირებმა მადლიერება და კმაყოფილება გამოთქვეს ასეთი მრავალმხრივი ჩართულობისთვის. ქალბატონების **მაკა მანჯავიძის, ნონა ლურსმანაშვილის, მანანა ორჯონიკიძის** უშუალო აქტიურობითა და ძალისხმევით თექვსმეტდღიანმა კამპანიამ, მართლაც მაღალი ინტერესით ჩაიარა. ესეების კონკურსში მონაწილე 66 მოსწავლიდან სამი გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებმაც საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ წარმოაჩინეს წერის უნარები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა **მამაკაცის როლი ქალთა მიმართ გენდერული თანასწორობის გაძლიერებაში**. გამარჯვებულებს დიპლომები და საჩუქრები გადასცეს საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ, **გიორგი ტაბატაძემ** და საკრებულოს დეპუტატმა **ნიკოლოზ კიკნაძემ**. მესამე ადგილი №1 სკოლის მოსწავლემ, **ანა დარსანიამ** მოიპოვა, მეორე - №1 საჯარო სკოლის მოსწავლემ, **ნატალი ტალახაძემ,** ხოლო პირველი ადგილი №6 საჯარო სკოლის მოსწავლემ, **მარიამ კობალავამ.**

ვულოცავთ დამსახურებულ წარმატებებს ახალგაზრდებს და ვუსურვებთ თავისუფალ, სამართლიან ქვეყანაში ცხოვრებას.

საზეიმო დახურვის დღე გაალამაზეს ბორჯომის კულტურის ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ჯგუფებმა.

დიდი შთაგონებით შესრულდა ცეკვები: ,,სამაია", რომლებმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ისტორიულ წარსულში, ქალის სიძლიერესა და პატივისცემაში.

ტრადიციულმა, ქართულმა ცეკვამ კვლავ გაუსვა ხაზი მამაკაცის როლს ქალისადმი პატივისცემას.

მონიკა ძანტურია

ვაკანსიების სიმრავლეა მომსახურების სფეროში

დღეს, სტატიაში ყურადღება მინდა გავამახვილო ვაკანსიების სიმრავლეზე ბორჯომსა და ბაკურიანში. ყოველდღიურად არა ერთ განცხადებას იხილავთ მაღაზიის ვიტრინებთან გამოკრულს, რომ ესაჭიროებათ კონსულტანტი, საიტებზე მრავლად განთავსებულ ინფორმაციას, აქვთ ვაკანსია და სასტუმროში სჭირდებათ დიასახლისი (დამლაგებელი) ან გაიხსნა ახალი კვების ობიექტი, რომელიც ეძებს მცხობელს, ჭურჭლის მრეცხავს და ა.შ. რომლის პირობებში მითითებულია, რომ ბორჯომიდან ბაკურიანში უზრუნველყოფენ დასაქმებულების ტრანსპორტირებას.

სასტუმროების მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებში ასევე ხშირად უთითებენ, რომ შეუძლიათ უზრუნველყონ საცხოვრებლით. ბაკურიანში ბორჯომიდან დასაქმებულთა რიცხვი დიდია, ისინი მუნიციპალიტეტის სოფლებიდანაც არიან, მაგალითად: საკირიდან, დვირიდან, ათეულობით ქალბატონია დასაქმებული ბაკურიანის მარკეტებსა და სასტუმროებში. მათთვის მინიმალური ანაზღაურებაც კი უნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ფაქტორს წარმოადგენს.

მომსახურების სფეროში ვაკანსიების სიხშირესა და დასაქმების სპეციფიკაზე გვესაუბრა სასტუმრო „ჰოლიდეი ბორჯომი"-ს თანამფლობელი ოჯახის წევრი **თამუნა ბედენაშვილი.**

- სასტუმროს სპეციფიკიდან გამომდინარე, კადრების შერჩევას გარკვეული სირთულეები ახლავს.

- ადმინისტრატორის პოზიციაზე გჭირდება აპლიკანტი, ვინც მინიმუმ ერთ უცხო ენას მაინც ფლობს, საკომუნიკაციო დონეზე, ამასთან კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებიც მოეთხოვება, პიროვნულად გაწონასწორებული და უკონფლიქტოა, აქვს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი; დიასახლისის პოზიციზე, თანამშრომელი, განსაკუთრებით კეთილსინდისიერი და მოწესრიგებული უნდა შეირჩეს, ამისათვის სანდო ადამიანის რეკომენდაციაც გასათვალისწინებელია; მზარეული - გარდა სამზარეულში გამოსადეგი უნარებისა, უნდა აცნობიერებდეს რომ მისი, თუნდაც ერთი შეხედვით მცირე უსუფთაობა ან რაიმე დაუდევრობა, ადამიანს შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზულ დარღვევად დაუჯდეს; შესაბამისად ამდენი საქმიანი და ადამიანური უნარ-ჩვევის მქონე პირების შერჩევა დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს.

დასაქმება რეალურად ძალიან ბევრ ადამიანს სჭირდება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა ან თვით რეალიზებისათვის. პრობლემაა, ერთის მხრივ საქმიანი უნარების არქონა, შესაბამისად, კვალიფიკაციის ნაკლებობა და ვაკანტურ პოზიციასთან შეუსაბამობა, ან ოჯახის წევრებზე დამოკიდებულება, საფიქრალია, რამდენად შეუწყობენ ხელს, მოერგოს სამუშაო გრაფიკს.

დამსაქმებელი სამუშაოს მაძიებელ პირებს თავაზობს რამდენად წარმატებულ და შემოსავლიან ბიზნესს მართავს, აქვს თუ არა კეთილი ნება, შესვენებაზე კვებოს ან ტრანსპორტით უზრუნველყოს ზეგანაკვეთური თანამშრომელი.

როგორც წესი, თუ დამსაქმებელი შრომის კანონმდებლობას კეთილსინდისიერად ასრულებს, ქმნის მეგობრულ და კეთილგანწყობილ გარემოს, დასაქმების მსურველი ასეთ შემოთავაზებაზე უარს არ ამბობს, - აღნიშნა საუბრისას **თამუნა ბედენაშვილმა.**

როდესაც დასაქმებაზე ვსაუბრობთ ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ პროფესიონალიზმთან ერთად, საერთოდ კადრების სიმცირეც იგრძნობა ქვეყანაში, რაც პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების მასიურ გადინებას საზღვარგარეთ.

დამსაქმებელსაც და დასაქმებულსაც მთელი რიგი პასუხისმგებლობების წინაშე აყენებს დაკისრებული ვალდებულებები, რომელთა შესრულება უშუალოდ ეხება ორივე შტოს და ქმნის სოციალურ გარემოს, ამიტომ მათი გამართული და ეფექტური მუშაობა შექმნის სტაბილურობის გარანტიას.

საქართველოდან საზღვარგარეთ წასული სამუშაოს მაძიებლები: იურისტები, მასწავლებლები, ინჟინრები და სხვებიც ყველა გაურჩევლად განათლებისა და სტატუსისა საზღვარგარეთ მუშაობენ მომვლელებად, მშენებლებად, დიასახლისად, დამლაგებლებად, ძიძებად და ა.შ. ამიტომ, სანამ სამუშაო ადგილებს საზღვარგარეთ ეძებთ და გგონიათ საზღვარგარეთ ოქროს კოშკები გელოდებათ, დაფიქრდით პერსპექტივაზე, რამდენად მომზადებული ხართ საზღვარგარეთ მუშაობისათვის. უსაქმური და დაბალი კვალიფიკაციის ადამიანი საზღვარგარეთ არავის ესაჭიროება.

მოამზადა იზა იანვარაშვილმა

ჩემპიონადი კალათბურთში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, კალათბურთში ორგანიზაცია-დაწესებულებებს შორის ჩემპიონატის ფინალი გაიმართა.

ფინალში ერთმანეთს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა (39:37) ჩამომსხმელი ქარხნის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ჩემპიონატში შვიდი გუნდი მონაწილეობდა, საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს სიგელები, მედლები და ფულადი ჯილდო გადაეცათ:

ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის გუნდს გადაეცა 900 ლარი;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდ გადაეცა 600 ლარი;

სასტუმრო - „ქრაუნ პლაზას" გუნდს გადაეცა 300 ლარი.

ფინალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მისი მოადგილეები **გიორგი ფერაძე** და **ჯუმბერ კურტანიძე,** კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი **შალვა გოგოლაძე** ასევე, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სპორტული აქტივობების დაგეგმვას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს.

ჭადრაკში ტურნირი გაიმართა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ჭადრაკში ტურნირი გაიმართა, რომელშიც სასპორტო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ტურნირის ბოლოს გამოვლინდნენ საპრიზო ადგილის მფლობელები:

I ადგილი - დავით მესხი

II ადგილი - ანდრია სვანიძე

III ადგილი - თეა რუსიტაშვილი

ღონისძიების მთავარი მსაჯი იყო უშანგი ჯანგირაშვილი.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები და გენდერული საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

მანცხადება

სპორტულ-ბიზნესი კლინიკა „იმპლანტ სტუდიო" მილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გთავაზობთ დეკემბერში 20%-იან უსაფასოებების აქციას პირის ღრუს პროფესიონალურ წმენდასა და კომპიუტერულ დიაგნოსტიკურ კვლევებზე (2D და 3D კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე).

თქვენ მოგემსახურებიან „იმპლანტ სტუდიო"-ს კვალიფიციური ექიმები.

ვიზიტის დასაჯავშნად გთხოვთ დარეკოთ ნომერზე: 591 09 17 71.

ჩვენი გუნდი გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ 2023 წელს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.**

borjomi@inbox.ru **რედაქტორი:** ვალერიან ლომიძე